სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
LEPL KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

ბრძანება №6

სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და საცნობარო ლიტერატურის განყოფილების უფროსის-მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და თანამდებობის დაკავების წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე

3 თებერვალი , 2022 წელი **ქ. თბილისი**

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[4] მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 26 ივნისის №580 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 ოქტომბრის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-13 მუხლისა და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „ფ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და საცნობარო ლიტერატურის განყოფილების უფროსის - მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავების წესი და პირობები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
3. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის, პოპულარიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილებას ამ ბრძანებით გათვალისწინებული სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავების წესისა და პირობების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.manuscript.ge) გამოქვეყნება; ასევე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს კონკურსის ჩატარება დისტანციურად, ელექტრონულ რეჟიმში, პროგრამა zoom-ის მეშვეობით.
4. დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების გაცნობა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისთვის.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №64).

დირექტორი *ზაალ აბაშიძე*

0193 თბილისი, მ. ალექსიძის ქ., № 1/3
0193 Tbilisi, M. Alexidze str., № 1/3

ტელ./Tel.: (995 32) 247-42-42
ფაქსი/Fax: (995 32) 236-32-41
www.manuscript.ge